წარმატებას გილოცავთ, მეგობრებო!

ბათუმის „დინამო“ პირველ ლიგაში!

გუშინ ბათუმში გაიმართა გადამწყვეტი მატჩი II ლიგის ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. ისინი იბრძოდნენ 1984 წელს I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობის უფლებისთვის. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო“ (ბათუმი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ტევა არ იყო. მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ხმინდისა, საინტერესო თამაშის სანახავად ჩამოვიდნენ არა მარტო ბათუმის, არამედ ახლომდებარე რაიონებისა და ქალაქების ფეხბურთის მოყვარულებიც, რათა თავიანთი მხარდაჭერა და ქომაგობა არ დაეკლოთ გუნდისთვის, რომელმაც წლეულს საუკეთესოდ ჩაატარა II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშებაც და ფინალურ ტურნირშიც წარმატებით იბრძოლა.

მატჩის მსვლელობა ტელევიზიით ყველამ ვნახეთ და, ალბათ, ძნელად თუ ვინმე გაიხსენებს ასეთ ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში რომ ჩატარებულიყოს სხვა რომელიმე საფეხბურთო თამაში. გადაუღებელი, კოკისპირული წვიმის შემდეგ მთელ მინდორზე გუბეები იდგა, ორივე გუნდს ძალიან უჭირდა და ასეთ პირობებში პირველ პლანზე წამოიწია მაღალმა ფიზიკურმა მომზადებამ, სანებისყოფო თვისებებმა, გამარჯვებისადმი სწრაფვამ.

ბათუმის „დინამოს“ თითოეულმა ფეხბურთელმა ამ ვითარებაში თავის შესაძლებლობათა მთელი მაქსიმუმი გამოავლინა და ღირსეულად იბრძოლა გამარჯვებისთვის. მათ პირველ ათიოდე წუთში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან, შემდეგ თამაში გათანაბრდა და უკვე ორივე მეკარე — კუიბიშეველი ფედოტოვიც და ბათუმელი მამინაშვილიც ხშირად ერთვოდა თამაშში, მძიმე დატვირთვა დააწვათ მცველებსაც.

შესვენების შემდეგ თამაშის პირობები კიდევ უფრო გართულდა, მაგრამ მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს ინიციატივა და ტაიმის უმეტესი ნაწილი სტუმრების ნახევარზე გაატარეს.

მოსკოველმა არბიტრმა ა. კადეტოვმა 52-ე წუთზე კუიბიშეველთა ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშისთვის 11-მეტრიანი დანიშნა „კრილია სოვეტოვის“ კარში. პენალტი შეასრულა ჩელებაძემ, მაგრამ მეკარე ფედოტოვმა ალღო აუღო დარტყმას და კუთხურზე მოიგერია ბურთი.

დინამოელები კვლავ განაგრძობდნენ იერიშებს. 66-ე წუთზე ჩელებაძე გავიდა მარჯვენა ფლანგზე, მიაწოდა ცენტრში და აქ ზუსტად, სწრაფად ითამაშა თოფურიამ — 1:0.

81-ე წუთზე კვლავ ჩელებაძის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო თოფურიამ და მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 2:0.

ბათუმის „დინამომ“ მოიგო ეს მეტად დაძაბული, გადამწყვეტი მატჩი და მოიპოვა უფლება საქართველოს სხვა გუნდებთან — ქუთაისის „ტორპედოსთან“ და ლანჩხუთის „გურიასთან“ ერთად ითამაშოს I ლიგაში.

ბათუმის „დინამომ“ გუშინდელ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამინაშვილი, წუწუნავა, კაკაბაძე, ხვიმონიშვილი, შანიძე (გოგიტიძე), კედელაძე, თოფურია, ათუაშვილი, შაკიროვი, გორგილაძე, ჩელებაძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის ოსტატი ვ. ჩხარტიშვილი.

მოგვყავს ფინალურ ჯგუფში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები და გათამაშების საბოლოო ცხრილი.

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 2:0, „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 1:0, „დინამო“ (ბათუმი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	4	2	1	1	4—1	5
„კრ. სოვეტოვი“	4	2	1	1	3—3	5
„ნეფტიანიკი“	4	0	2	2	1—4	2

პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესმა სხვაობამ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 217
(7528)

13
1983 წ.
ნოემბერი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

3.XII

● ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

დღეს ლისაბონში...

ლისაბონიდან ცნობა მოვიდა, რომ პორტუგალიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლისაბონის „ნაციონალიდან“ გადაიტანეს „ლუშის“ სტადიონზე. თავისთავად ეს ფაქტი შეიძლება ევროპისათვის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა კარგად იცის, რომ „ლუში“ ის სტადიონია ლისაბონში, სადაც, როგორც წესი, თავს იყრიან ყველაზე უფრო აზარტულად განწყობილი, თავშეუკავებელი, დაუოკებელი გულშემატკივრები. ეს კი ნიშნავს, რომ დღევანდელ მატჩს პორტუგალიაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

მართლაც, სატურნირო სიტუაცია ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში ახლა ნათელი და კონკრეტულია: პირველი ადგილისთვის, რომელიც ფინალში გასვლის საგზურს იძლევა, ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ ეს 2 გუნდი — სსრ კავშირის და პორტუგალიისა. საბჭოთა ფეხბურთელებს ფრეც ჰყოფნით დასახული მიზნის მისაღწევად, პორტუგალიელებს კი ხელს აძლევს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ 2 ქულა.

ბოლო მატჩის წინ გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	11—1	9
პორტუგალია	5	4	0	1	10—6	8
პოლონეთი	6	1	2	3	6—9	4
ფინეთი	6	0	1	5	3—14	1

რისი იმედი აქვთ პორტუგალიელებს? 27 აპრილს მათ ხომ მოსკოვში პირწმინდად წააგეს შესარჩევი ტურნირის პირველი შეხვედრა ჩვენს გუნდთან — 0:5. რა შეიცვალა მას შემდეგ?

მოხდა ის, რომ პორტუგალიის ნაკრებმა მეტოქის მინდორზე, ვროცლავში, ამას წინათ შესარჩევი მატჩი მოუგო პოლონეთის გუნდს, ლისაბონის „ბენფიკა“ და ქ. პორტოს ამავე სახელწოდების გუნდი გავიდნენ ევროპული საკლუბო ტურნირების შემდგომ ეტაპზე, ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელის პრიზი დაისაკუთრა „პორტოს“ თავდამსხმელმა ფერნანდო გომეშმა და ყველაფერი ამის შემდეგ პორტუგალიაში, როგორც ეს ხშირად ხდება ფეხბურთში, აღარც კი ახსოვთ 27 აპრილს ანგარიშით 0:5 წაგებული მატჩი.

(დასასრული მე-3 გვ.).

GENS UNA SUMUS

პრეტენდენტებმა დაიწყეს

11 ნოემბერს აგარაკ დაგომისში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი დიდოსტატებს ნანა იოსელიანსა (თბილისი) და ლიდია სემიონოვას (კიევი) შორის.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ვ. ტიხომიროვმა (მოსკოვი) დამსწრეთ წარუდგინა დიდოსტატები და მატჩის რეგლამენტი გააცნო.

იოსელიანი — სემიონოვას მატჩში 10 პარტია გათამაშდება. გამარჯვებისთვის საკმარისია 5,5 ქულის მოგროვება. ყაიმის შემთხვევაში, მეტოქენი კიდევ ოთხ პარტიას გამართავენ. თუ ამ პარტიებმაც ვერ გამოავლინა ფინალის მონაწილე, მაშინ მას კენჭისყრა დაასახელებს. პარტიები გათამაშდება ლუწ რიცხვებში: 12, 14, 16, 18... ნოემბერს. ყოველი მეორე დღე გადადებული პარტიის დამთავრებას დაეთმობა.

ბოლოს მოეწყო წილისყრა. პირველ და მომდევნო ყველა კენტ პარტიაში თეთრებით იოსელიანი ითამაშებს.

გუშინ დაგომისის მატჩში პირველი პარტია შედგა. მისი შედეგი გვიან საღამოს გახდა ცნობილი.

დღეს, მოსკოვის მახლობლად, ქალაქ დუბნაში საზეიმოდ გაიხსნება პრეტენდენტთა მეორე ნახევარფინალური მატჩი **ნ. ალექსანდრიასა** (თბილისი) და **ი. ლევიტინას** (ლენინგრადი) შორის.

● მხატვრული ტანვარჯიში

ორი ლიდერი

სტრასბურგში მიმდინარე მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღის შემდეგ მრავალჭიდში ლიდერობენ სსრ კავშირის ნაკრების ყველაზე ნორჩი წევრი, ასტრახანელი მოსწავლე გალინა ბელოგლაზოვა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, ვილნიუსელი დალია კუტკაიტე. ორივეს 19,80 ქულა აქვს. ბულგარელი დილიანა გეორგიევა მათ 0,10 ქულით ჩამორჩება.

მსოფლიოს პირველობის დებიუტანტი გალინა ბელოგლაზოვა არ შეაშინა იმ გარემოებამ, რომ მას მეტოქეობას უწევდა თვით ბულგარელი ლილია იგნატოვა — მსოფლიოს თასის ახლანდელი მფლობელი, რომელსაც პრესა ჩემპიონატის პირველი ჯილდოს ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევს. გალინამ შესანიშნავად შეასრულა ორივე ვარჯიში — ლენტითა და რგოლით, რომლებშიც 9,9 ქულა მიიღო. მისმა მეტოქემ ამავე სახეობებში 0,40 დაკარგა.

სამწუხაროდ, ჩვენი მეორე დებიუტანტი, ტაშკენტელი ვენერა ზარიპოვა ბურთით გამოსვლისას შეცდა და 0,35 ქულა დაკარგა. მართალია, გურზებით ვარჯიშში მან 9,8 ქულა მიიღო, მაგრამ ამ ცვლაში მოასპარეზე მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ანელია რალენკოვას უკვე ვეღარ დაეწია. ბულგარელმა ტანმოვარჯიშემ თავის აქტივში 9,75 (ლენტი) და 9,9 (რგოლი) ქულა ჩაიწერა.

საბჭოთა გუნდის ლიდერმა დალია კუტკაიტემ, რომელიც მესამე ცვლაში გამოდიოდა, ბულგარელთა ახალ ვარსკვლავ დილიანა გეორგიევასთან (ლენტითა და რგოლით გამოსვლაში აჩვენა 9,9 და 9,8 ქულა) პაექრობისას გურზებითა და ბურთით ვარჯიშში ერთნაირი შეფასება — 9,9 ქულა მიიღო.

ასპარეზობენ ჭაბუკები

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე რამდენიმე დღის გრძელდებოდა საქართველოს ჭაბუკ და იუნიორ ცხენოსანთა 1983 წლის პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა კლასიკური სახეობები: დაბრკოლებათა გადალახვა, ორჭიდი, ცხენის გაწვრთნა. სტარტზე თბილისის, ფოთის, გალის ცხენოსნები გამოვიდნენ.

ორჭიდელთა დავაში (სამანეჟო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა) თავიდანვე დაწინაურდა თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის წარმომადგენელი გ. ნასყიდაშვილი (ცხენი „ნაივნაია“), ლიდერმა მეორე სახეობაში „სუფთად“ გადალახა წინაღობები და ორჭიდში პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე შედეგი აქვს მის თანაგუნდელს ვ. მერკვილაძეს (ცხენი „დგარუნი“), მესამე ადგილზეა ფოთელი გ. გუშა (ცხენი „დავლური“). ამ სახეობაში გუნდური დავა მოიგეს თბილისელებმა, მეორენი ფოთელები იყვნენ.

ცხენის გაწვრთნაში საშუალო პრიზზე გამარჯვება მოიპოვა გალელმა ჯ. კაპანაძემ (ცხენი „ხაშიდი“), ბოლთიყირეებაში პირველი იყო თბილისელი ვ. ალმაედოვი.

დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს ჭაბუკ ცხენოსანთა თასზე, რომელიც ორ გიტად ჩატარდა, გაიმარჯვა ვ. ალმაედოვმა (ცხენი „პავლოდარი“), მეორე ადგილზეა ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის სპორტული სკოლის წარმომადგენელი ვ. აივაზაშვილი, მესამეზე — ფოთელი ა. მჭედლიშვილი. ამ სახეობაში გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს თბილისელებმა. მათვე მოიპოვეს საერთო გუნდური გამარჯვებაც. მეორე ადგილზეა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის გუნდი, მესამეზე — ფოთელი ცხენოსნები არიან.

ნ. ხიჟინავა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა „აამაღლონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლი მშრომელთა თავისუფალი დროის ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სოფლად. განავითარონ მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი. გაავრცელონ ყოველ რაიონში იმ კულტურულ-სპორტული კომპლექსების შექმნის გამოცდილება, რომლებიც საუწყებო კუთვნილების მიუხედავად ექვემდებარებიან ადგილობრივ საბჭოებს“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წ.
ივნისის პლენუმის მასალებიდან

ხვალინდელი დღის რწმენით

...სპორტული კომპლექსის დათვალიერებას ორმოცდაათმეტრიანი საცურაო აუზით ვიწყებთ. თეთრი კაფელის ფონზე ცისფრად ლივლივებს გამჭვირვალე წყალი. ლარივით გავლებული რვა შავი ზოლი გვაუწყებს, რომ აქ სტარტზე ერთდროულად 9 სპორტსმენი დადგება. მოხერხებული ტრიბუნები 2 ათასამდე კაცს იტევს. ტრიბუნებსქვეშ მოთავსებული რთული სამანქანო სისტემა ათბობს და ქლორით აზავებს წყალს. სპორტსმენები ჯერ კომფორტულად მოწყობილ გასახდელებს გაივლიან, შემდეგ სუფთა საშხაპეებს, საიდანაც წყლის ბილიკით ფართო აუზში გამოდიან. აუზის აღმოსავლეთით ასევე ლამაზი კაფელით მოპირკეთებული მეორე აუზია, რომლის თავზეც სახტომი კოშკი გადმოზიდულა. დასავლეთით კი ორი კეთილმოწყობილი საჭყუმპალაო მასპინძლობს ყველაზე პატარებს.

აუზის გვერდით საფეხბურთო სტადიონია, მოხასხასე მწვანე მინდვრით, სარბენი ბილიკებით, მყარად ნაგები, ლამაზი ტრიბუნებით. სტადიონის უკან საცაა დამთავრდება დახურული დარბაზი, სადაც ყველა სპორტული თამაშების (მათ შორის ფეხბურთის) წარმომადგენლებს გაეხსნებათ კარი. იქვე შენდება და დამთავრების პროცესშია კალათბურთის, ფრენბურთის ექვსი მოედანი, მძლეოსნური სექტორი, ჩოგბურთის ოთხი კორტი. ორი საუნა უკვე მოქმედებს, ორიც მალე ამოქმედდება.

აქედან სტადიონის ადმინისტრაციულ შენობაში ავდივართ; თვალს იტაცებს ლამაზი საკონფერენციო დარბაზი, სპორტსმენთა დასასვენებელი კუთხეები, სასტუმროს ნომრები, რომლებიც ასამდე კაცს იღებენ ერთდროულად; კეთილმოწყობილ ნომრებში არის აბაზანა, ტელევიზორი. ერთი სიტყვით, სპორტსმენებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

საჭადრაკო წრის მუშაობამ დაგვაინტერესა. კულტურის სახლში უკავია ორი დიდი ოთახი, — გვითხრეს. კულტურის სახლში, რომლის შენობაც ყველა დიდი ქალაქის თეატრს შეშურდებოდა, სხვადასხვა წრეებთან ერთად ჭადრაკის წრეც მოქმედებს. იქვეა საბავშვო ბიბლიოთეკა.

არავის ეგონოს, მოსკოვის, ან რომელიმე უცხო ქალაქების სპორტულ ბაზებზე ვსაუბრობდეთ; არც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქზეა ლაპარაკი. ეს ბაზა მოქმედებს ხობის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში...

ხუთიოდე წლის წინ ამ ადგილზე ერთი საფეხბურთო მინდორი იყო, გასახდელად კი გაუქმებულ ვაგონს იყენებდნენ. შხაპზე და სხვა პირობებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

და უცებ ასეთი ნახტომი, ნახტომი არა უბრალოდ ჩვეულებრივი უკეთესობისაკენ, არამედ ოცდამეერთე საუკუნეში, 20-იანი წლების პრიმიტიული მოედნიდან — მომავალი საუკუნის კეთილმოწყობილ ბაზებამდე.

ამ საოცარმა ძვრამ საქმეში ჩაუხედავი პირების, რიგ შემთხვევაში ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის ეჭვი აამოძრავა, რასაც, როგორც მათი მსჯელობით მჟღავნდებოდა, ახლის შიშისა და ნიჰილიზმის სუნი დაჰკრავდა.

— სხვა რაიონები რა, გერები ვართ?! ჩვენ გვაწყენდა ასეთი ბაზა? — საყვედურობდნენ ერთნი;

— ეს რა უბედურება აიკიდა ხობის რაიონმა! ეყოფათ კი მის ხელმძღვანელებს ასეთი გრანდიოზული მშენებლობის გაძღოლის და დამთავრების უნარი, ნებისყოფა და საშუალება? — ეჭვობდნენ მეორენი და ამით ხაზს უსვამდნენ საკუთარ უგერგილობას.

— შეიძლება მშენებლობა დაამთავრონ, მაგრამ მისი შენახვა და, რაც მთავარია, დატვირთვა მოვარჯიშეებით ძალზე გაუჭირდებათ, — ამტკიცებდნენ მესამენი.

ურწმუნო ადამიანების ამ სამ „შეფასებაზე“ პასუხით მინდა გამოვხატო ჩემი სათქმელი.

სხვა რაიონები გერები ხომ არ არიანო, — ამაოდ საყვედურობენ ზოგიერთები. რესპუბლიკაში ყველა რაიონი რომ თანაბარი ყურადღებითაა მოსილი, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ, დასამალი როდია, ზოგჯერ ამა თუ იმ რაიონში აშენდება ხოლმე სხვებისგან გამორჩეული ობიექტები, თუნდაც — იგივე სპორტული ბაზები. ეს კი უკვე თვით რაიონის, მისი მშრომელების, ხელმძღვანელების მონდომების, შრომის უშუალო შედეგია.

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ დიდი სპორტული კომპლექსის აგების თაობაზე კარგა ხანია სერიოზულად ფიქრობდა ხობის ხელმძღვანელობა, თუმცა მათ 1978 წლამდე ამის თაობაზე არ დაუყენებიათ საკითხი, მაგრამ როდესაც რაიონში შეჯამდა X ხუთწლედის სამი წლის შედეგები და დარწმუნდნენ, რომ მშრომელთა დიდი გამარჯვება გარდუვალი იყო — ხუთწლედის გეგმას რაიონის ყველა რგოლი 4 წელიწადში ასრულებდა, — მაშინ ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნუგზარ ნადარაია თამამად წარსდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ხელმძღვანელ ამხანაგებს დიდი ხნის გულისნადები გაანდო.

— მართალია, კომპლექსი იაფი არ დაჯდება, მაგრამ რაიონის მშრომელებმა თავიანთი გმირული საქმეებით დაიმსახურეს მისი აშენება, — მიიღო მან პასუხი. მეორე დღიდან საქმე ადგილიდან დაძრა...

— ამ ხუთი წლის მანძილზე, რაც კომპლექსს ვაშენებთ, ჩემი მთავარი „პრარაბი“ რაიკომის პირველი მდივანი იყო, — იხუმრა მშენებლობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვლადიმერ ჩოგოვაძემ, — არც ჩვენ გვასვენებდა და არც საკუთარ თავს ინდობდა.

ამ ხუმრობის სასიამოვნო სიმართლე მდივანთან საუბრის პირველი წუთებიდანვე ვიწამე. ჩემს წინ იდგა სპორტზე შეყვარებული, მის დიდ სარგებლიანობაში დარწმუნებული, სპორტული მოძრაობის პრაქტიკული მხარეების მოგვარებისთვის მკლავებდაკაპიწებული კაცი, რომელსაც საზოგადოებრივი საქმე, რაიონის მშრომელების, ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის ფიქრი ცხოვრების უმთავრეს საგნად გაუხდია. მან ზეპირად იცოდა რაიონის სპორტული ცხოვრების ყოველი დეტალი; ისიც კი მითხრა რომელი სპორტული სექცია როდის, სად და ვისი ხელმძღვანელობით მეცადინეობდა.

ისიც არანაკლებ საგულისხმოა, რომ ეს ენთუზიაზმი მან რაიონის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებსაც გადასდო. კომკავშირის რაიკომის მდივანი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, პროპაგანდისა და აგიტაციის, საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, ბანკის მმართველი და სხვები ისეთი გატაცებით მიყვებოდნენ კომპლექსის მშენებლობაზე, ისე მოჰქონდათ გულთან მისი ავ-კარგი, რომ აშკარა გახდა — მათი სახით ნამდვილი თანამოაზრენი ჰყავს რაიკომის პირველ მდივანს.

ყოველი ორშაბათის 6 საათზე, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, რაიკომში იკრიბება კომპლექსის მშენებლობისა და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელი შტაბი, რომელსაც რაიკომის პირველი მდივანი უდგას სათავეში. მე დავესწარი ერთ-ერთ სხდომას, მთელი ორი საათი ვუსმენდი გულანთებული ხელმძღვანელის საქმიან საუბარს და ვფიქრობდი: ყველა რაიონში რომ ასეთი ხელმძღვანელი ქომაგობდეს ქართულ სპორტს, ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ნამდვილად გაიმართებოდა წელში...

და ბოლოს, — ზოგი სკეპტიკოსი ეჭვს რომ გამოთქვამდა — ვერ მოუვლიან და ვერ დატვირთავენ ამხელა კომპლექსსო, — ეს პრობლემა ყველაზე ადრე თვით ხობის ხელმძღვანელებმა განჭვრიტეს და თავიდანვე იზრუნეს მომავალზე. მათ გამოძებნეს ისეთი შეფი, როგორიც საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტია. ამას წინათ ხობში ორ დღეს იმუშავა და რაიკომის შტაბთან ერთად სამომავლო საშეფო მუშაობის გეგმა დასახა ინსტიტუტის ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ: რექტორი — ა. მელია, პარტორგანიზაციის მდივანი, დოცენტი თ. პაიჭაძე, პრორექტორები დოცენტი რ. კერესელიძე, გ. ნადირაშვილი, კათედრის გამგეები გ. ბაქანიძე, ჯ. ზალდასტანიშვილი, მ. ეროგინა, პედაგოგი გ. ხუროშვილი, ალკკ კომიტეტის მდივანი ლ. გულდედავა, ინსტიტუტის პროფესორი ა. ციბაძე; შტაბის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსი — ვ. ლომიძე.

სხვების გასაგონად მინდა მოვიტანო ზოგიერთი მოსაზრებანი, რაც გამოითქვა შტაბის გაფართოებულ სხდომაზე. ეს იმიტომ, რომ, როგორც ვიცი, მრავალი რაიკომი, ზოგიერთი სასიამოვნო გამონაკლისის გარდა, არც ანალოგიური შტაბების შექმნითა და არც მსგავსი ყურადღებით არ ანებივრებს რაიონის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, მშრომელებს, ახალგაზრდობას.

— ხობის სპორტული კომპლექსის ნორმალური ათვისების უპირველესი პირობაა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასობრივი გაშლა. ამ მიზნით საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი უახლოეს ხანში ხობის რაიონში ორ-ორი თვით გამოგზავნის მაღალი კურსების ოცამდე სტუდენტს, რომლებიც რაიონის სკოლებსა და სპორტულ კომპლექსში გაივლიან პრაქტიკას;

— მოკლე ხანში აქ ჩამოვა მსაჯების, მწვრთნელებისა და სხვა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებელი ბრიგადა. რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის წამოწევის თავი და თავი კარგი მწვრთნელი უნდა იყოს.

— ნუ დავივიწყებთ სპორტის სწორი პროპაგანდის ეფექტსაც. ნოემბერსა და დეკემბერში ხობში მოვავლენთ სპორტის პროპაგანდისტთა ბრიგადას, რომელიც სათანადო ლექცია-საუბრებს ჩაუტარებს რაიონის ყველა სკოლას, სოფელსა და წარმოება-დაწესებულებას. ბრიგადა მომამზადებს პროპაგანდისტთა ადგილობრივ კადრებს, რომლებიც შემდგომში გააგრძელებენ ამ საქმეს;

— კარგი იქნება თუ რაიონული ცენტრისა და ახლომდებარე სოფლების სკოლების ფიზკულტურის გაკვეთილებს საცურაო აუზზე გადმოვიტანთ! ეს ოთხი აუზი უფრო მეტად დაიტვირთება და ცურვის შესწავლის პრობლემასაც ეშველება.

— არ შეაფერხოთ 4 საჩოგბურთო კორტის მშენებლობა; ინსტიტუტს აქვს საშუალება მოგამაგროთ ერთი მწვრთნელი, შემდეგ კი ადგილობრივი კადრები გაუძღვებიან საქმეს.

— რაიონში უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაო, რათა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ ფაკულტეტებზე მეტი კადრი წამოვიდეს სასწავლებლად.

— განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გათბობისა და საფილტრაციო სისტემებს. მათი ნორმალური მუშაობის მიზნით ხობში პერიოდულად იქნებიან მივლინებულნი სპეციალისტები.

— სასურველია თუ საშეფო მუშაობის გაშლაში ინსტიტუტს მხარში ამოუდგებიან სპორტული საზოგადოებები, განსაკუთრებით კი „კოლმეურნე“. საქართველოს სპორტკომიტეტისგანაც მოველით სათანადო დახმარებას.

კიდევ ბევრი ითქვა შტაბის სხდომაზე. გადაწყდა შედგეს ხობის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარების საგანგებო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება მომავალში ინსტიტუტის საშეფო საქმიანობას.

აი, ასე დაიწყო ხობში ბრძოლა ფიზკულტურისა და სპორტის საერთო-სახალხო მოძრაობად გადაქცევისათვის; ვფიქრობთ, ესაა ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ხვალინდელი დღისათვის პრაქტიკული ზრუნვის კარგი მაგალითი.

ავთანდილ ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვის ორგანიზაციისა და ისტორიის კათედრის პროფესორი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის საცურაო კომპლექსი „იმედი“. მორიგ წვრთნას ატარებს ბ. ხოჭოლავა.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გ ა ზ ე თ ი ს პ რ ი ზ ზ ე

ქიმიური ქარხნის სპორტული კომპლექსის საცურაო აუზში ჩატარდა შეჯიბრება ცურვაში საქალაქო გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ პრიზზე. ასპარეზობაში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობდნენ 1970 და 1971 წ. წ. დაბადებული ვოლჟსკელი, შაულიაელი, თბილისელი და ქუთაისელი მოცურავეები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და პრიზი დაისაკუთრეს ვოლჟსკელმა სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები, ხოლო მესამეზე — შაულიაის მოცურავეები.

1971 წ. დაბადებულთა შორის ყველაზე კარგი შედეგი აჩვენეს ვ. უტიცკიხმა (რუსთავი) და გ. ლაპშინმა, ხოლო 1970 წ. დაბადებულთა შორის ლ. ლომოვცევამ და დ. ჩელიშევმა (სამივე — ვოლჟსკი).

რ. ბაბრიშიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მეგობრულად საუბრობენ შეჯიბრების მონაწილენი მარცხნიდან დ. მიხაილოვი (ქუთაისი), ვ. ბოგდანაიტე (შაულიაი), ვ. უტიცკიხი (რუსთავი), ე. ლომოვცევა (ვოლჟსკი), ზ. ჯიბლაძე (თბილისი).

ავტორის ფოტო.

ასპარეზობენ სოფლის სპორტსმენები

ფეხბურთელთა 28 კოლექტივი მონაწილეობდა ზუგდიდის „კოლმეურნეს“ სარაიონო საბჭოს პირველობაზე. მასში მონაწილე გუნდები დაყოფილი იყვნენ 5 ჯგუფად, ზონებში გამარჯვებულნი განაგრძობდნენ ბრძოლას ჩემპიონობისათვის.

კოლმეურნეთა გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: ახალკახათი, ინგირი, რიყე, ხოლო მეურნეობათა შორის — ორსანტია, ერგეტი და ნარაზენი.

გ. ჰეჟია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

დღეს ლისაბონში...

დასასრული

ახლა პორტუგალიაში დიდი ოპტიმიზმით მოელიან ამ გადამწყვეტ მატჩს და არა თუ არ მალავენ თავიანთ ვარაუდს გამარჯვებაზე, პირიქით, ყოველნაირად ხაზს უსვამენ, რომ მათ გუნდს რეალური შესაძლებლობა აქვს გავიდეს ევროპის ჩემპიონატის ფინალში. პორტუგალიის გაზეთები ვრცელ სტატიებს აქვეყნებენ ამ საფეხბურთო რენესანსის თაობაზე, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი ნაკრები, რომელიც ლისაბონის „ბენფიკას“, პორტუს „პორტუსა“ და ლისაბონის „სპორტინგის“ ფეხბურთელთაგან შედგება, უნდა აუცილებლად გავიდეს ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

თუმცა, არის ერთი კაცი, კერძოდ, ნაკრების ახალი მწვრთნელი ფ. კაბრიტა (მან ბრაზილიელი ო. გლორია შეცვალა ამ პოსტზე), რომელიც ასეთი კატეგორიული ტონით არ მსჯელობს, წინასწარ არ იძლევა გარანტიებს და გაცილებით უფრო მეტ რიდს იჩენს პროგნოზის გამოტანის დროს. კორესპონდენტებთან საუბარში მან არაერთხელ გაუსვა ხაზი საბჭოთა ნაკრების სიძლიერეს, ცალკეული ფეხბურთელების, კერძოდ რ. დასაევის, ა. ჩივაძის, ა. დემიანენკოს, ო. ბლოხინისა და სხვათა მაღალ კლასს. მწვრთნელის აზრით, ბრძოლა იქნება შეუპოვარი, დაძაბული, პორტუგალიის ნაკრებმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს დასახული მიზნის მისაღწევად.

წლევანდელი შესარჩევი მატჩის გარდა საბჭოთა და პორტუგალიელი ფეხბურთელები უწინ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში პორტუგალიელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები, მაშინ მათს ნაკრებში გამოდიოდნენ გამოჩენილი ოსტატები ეუსებიო, კოლუნა, ტორესი, აუგუსტო, შემდეგ კი, 1972 წელს, როცა ბრაზილიაში გაიმართა ეროვნული დამოუკიდებლობის აღსანიშნავი დიდი ზეიმი, პორტუგალიელებმა კვლავ გაიმარჯვეს ჩვენს გუნდთან შეხვედრაში — 1:0 (მაშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრების სახელს იცავდა ე. წ. „ექსპერიმენტული“ შემადგენლობა, გუნდი ჩამოყალიბებული იყო ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ბაზაზე).

პორტუგალიის ნაკრებს დღევანდელი მატჩისათვის ამზადებდნენ მწვრთნელები ფ. კაბრიტა და ა. ოლივეირა. ნაკრების კანდიდატთა შორის იყვნენ: მეკარეები — ჟოზე ზებეტო („პორტუ“) და მანუელ ბენტუ („ბენფიკა“), მცველები — ანტონიუ ბაშტუშ ლოპეში, ალვარუ მაგალიაიში (ორივენი — „ბენფიკა“), ანტონიუ ლიმა პერეირა, აგუშტუ ინასიუ ზურიკუ მონტეირუ გომეში და ჟოაო პინტუ (ყველანი — „პორტუ“), ნახევარმცველები — კარლუშ მანუელი, ხან შეუ, ჟოზე ლუიში (ყველანი — „ბენფიკა“) და ჟაიმე პაშეკუ („პორტუ“), თავდამსხმელები — მირანდა დიამანტინო, ფერნანდუ შალანა, ტამანინი ნენე (ყველანი — „ბენფიკა“), ფერნანდუ გომეში („პორტუ“), ჟოზე ჟუნიორი და რუი ჟორდაო (ორივენი — „სპორტინგი“).

სსრ კავშირის ნაკრებს ხელმძღვანელობენ ვ. ლობანოვსკი, ი. მოროზოვი და ს. მოსიაგინი. ლისაბონს გაემგზავრნენ: მეკარეები — რ. დასაევი („სპარტაკი“), ვიქ. ჩანოვი („დინამო“, კიევი), მცველები — ს. ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), ა. ჩივაძე, თ. სულაქველიძე (ორივე — „დინამო“, თბილისი), ს. ბალტაჩა, ა. დემიანენკო (ორივე —„დინამო“, კიევი), შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები — ლ. ბურიაკი, ა. ბალი, ვ. ევტუშენკო, ო. ბლოხინი (ყველანი — „დინამო“, კიევი), ი. გავრილოვი, ფ. ჩერენკოვი, ს. როდიონოვი (ყველანი — „სპარტაკი“, მოსკოვი), ხ. ოჰანესიანი („არარატი“), ა. ტარხანოვი (ცსკა), ს. ანდრეევი (ასკ, დონის როსტოვი), გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“).

• • •

ცენტრალური ტელევიზია პორტუგალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს გადასცემს დღეს 19 საათიდან თბილისის დროით.

ბუხუტი გურგენიძე 50 წლისაა

დაუდგრომელი გული

მთელი თავისი ცხოვრება ერთგულად ემსახურება ჭადრაკს და, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, თავგამოდებით იღვწის ქართული ჭადრაკის დიდებისათვის.

ბუხუტი გურგენიძის ცხოვრებას 50 წლის გადასახედიდან გონების თვალს რომ გააყოლებ, დაინახავ ორ ლარივით სწორ მიმართულებას, რომელსაც მოჭადრაკე ულალატოდ მიჰყვება ათეული წლების მანძილზე; ესაა დიდი გატაცებით შეჯიბრებებში მონაწილეობა და საკუთარი მდიდარი ცოდნისა და გამოცდილების ახალგაზრდა მოჭადრაკეთათვის უშურველად გადაცემა.

რაღაც სიმბოლურია იმაში, რომ პირველი ქართველი ოსტატის ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველსავე საერთაშორისო ტურნირში (1970 წ.) პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძის სახით „დაიბადა“. სწორედ ამ დღესასწაულზე ოცნებობდა ქართული ჭადრაკის მოჭირნახულე ვ. გოგლიძე, რომელიც 20-იანი წლების მიწურულიდან მეკვლედ მოუძღოდა მამა-პაპათა თამაშს საქართველოში.

ბუხუტი გურგენიძე 1949 წლიდან მონაწილეობს დიდ შეჯიბრებებში და წარმატებაც არაერთი აქვს. საკმარისია ითქვას, რომ იგი საქართველოს 11-გზის ჩემპიონია, 8-ჯერ მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, 4-ჯერ სტუდენტთა მსოფლიოს გუნდურ პირველობაში (2-ჯერ ჩემპიონი იყო), გაუმარჯვია სოფიის (1959), თბილისის (1965), ბათუმის (1966), გრადეც-კრალოვის (1978) საერთაშორისო ტურნირებში, ვ. გოგლიძის (1970) და ვ. ქარსელაძის (1976, 1978) მემორიალებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შთამბეჭდავი თამაში სსრ კავშირის ხალხთა 1959 წლის სპარტაკიადის მოჭადრაკეთა ტურნირში, სადაც პირველ დაფაზე მეორე ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა გამოჩენილი დიდოსტატები მ. ბოტვინიკი, მ. ტალი, ბ. სპასკი და სხვ.

ქართველი დიდოსტატი ორიგინალური შემოქმედია. დაუდგრომელი გულის მოჭადრაკე მუდამ ახალ, გაუკვალავ გზებს ეძებს. ამიტომაც შეხვდებით გურგენიძისეულ გაგრძელებას სიცილიურ, კარო-კანის, უფიმცევის დაცვებში და სხვა დებიუტებში. განსაკუთრებით ძლიერია გურგენიძე მიტელშპილში, სადაც პარტიის ბედს, როგორც წესი, ნიჭი და ერუდიცია განსაზღვრავს. იგი შესანიშნავი ანალიტიკოსიც გახლავთ.



მაძიებელი სულისა და დიდი გამოცდილების ბუხუტი გურგენიძე, ბუნებრივია, სამწვრთნელო მოღვაწეობას იწყებს და აქაც თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. 1966-77 წლებში იგი ნანა ალექსანდრიას მწვრთნელი იყო. შესანიშნავ წარმატებებს ნანამ სწორედ ამ პერიოდში მიაღწია და ბევრი საჭადრაკო მწვერვალიც დაიპყრო: გახდა დიდოსტატი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების თასის მფლობელი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის აღიარებული პრეტენდენტი. ბუხუტის სხვადასხვა შეჯიბრებაში მწვრთნელობა გაუწევია ნონა გაფრინდაშვილისთვის, მაია ჩიბურდანიძისათვის და ნინო გურიელისთვის. ახლა ნანა იოსელიანის მწვრთნელია.

ბუხუტი გურგენიძეს, როგორც საქართველოს გუნდის მთავარ მწვრთნელს, დიდი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის ხალხთა 1983 წლის სპარტაკიადაზე ჩვენი მოჭადრაკეების თვალსაჩინო წარმატებაში.

ბ. გურგენიძის სამწვრთნელო მოღვაწეობამ მაღალი შეფასება მიიღო: 1968 წელს მას საქართველოს სსრ, ხოლო 1969 წელს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიეკუთვნა.

ბუხუტი დღესაც თავგამოდებით მოღვაწეობს საჭადრაკო სარბიელზე. ამჟამად ნანა იოსელიანს სეკუნდანტად ახლავს დაგომისში, სადაც დიდოსტატი ქალი პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობს.

საქართველოს საზოგადოებრიობას, ჭადრაკის თაყვანისმცემლებს საფუძვლიანად მიაჩნიათ, რომ პირველი ქართველი დიდოსტატი, რომელიც შემოქმედებითი ცხოვრების გაფურჩქვნის პერიოდში შევიდა, კვლავაც არაერთ სასახელო ფურცელს ჩაწერს ქართული ჭადრაკის მატიანეში.

თ. გიორგაძე.

• • •

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარების საქმეში აქტიური და ხანგრძლივი მუშაობისთვის და დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო დიდოსტატი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ბუხუტი ივანეს ძე გურგენიძე** საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

საინტერესო ციფრები

უმაღლესი ლიგა

● **სსრ კავშირის** 1983 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო 26 მარტს და დამთავრდა 6 ნოემბერს.

● **განვლილ** ჩემპიონატში ფეხბურთელებმა გაიტანეს 725 ბურთი, რაც საშუალოდ 2,4 გოლს უდრის ყოველ თამაშში.

● **1983** წლის ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო 6.142.700 მაყურებელი. შარშან მაყურებელთა რაოდენობა იყო 5.602.107, ხოლო შარშანწინ — 5.988.361.

● **5 გუნდმა** გათამაშებაში გადააჭარბა ფრეთა დაწესებულ ლიმიტს (10), რის გამოც ქულები არ დაეწერათ მოსკოვის „ტორპედოს“, ცსკა-ს, ქუთაისის „ტორპედოს“, მოსკოვის „დინამოს“, ლენინგრადის „ზენიტს“.

● **ჩატარდა** ჩემპიონატის 306 მატჩი. მასპინძლებმა მოიპოვეს 158 გამარჯვება, სტუმრებმა — მხოლოდ 71, ფრედ დამთავრდა 77 შეხვედრა. ჩემპიონატის ყველაზე „პოპულარული“ ანგარიშია 1:0 (68 მატჩი). არც ერთი ბურთი არ გატანილა 34 შეხვედრაში.

● **ყველაზე** მეტი ბურთი გავიდა მეორე წრის მატჩში დონეცკის „შახტიორსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის — 6:3. ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა კიევის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩი — 8:0.

● **თბილისის** დინამოელებმა 34 ჩატარებული მატჩიდან 11-ში ვერ გაიტანეს ვერც ერთი ბურთი და ამდენივე თამაში დაამთავრეს ისე, რომ საკუთარ კარში არ მიუღიათ გოლი. ქუთაისის ტორპედოელებმა 16 მატჩში ვერ გახსნეს ანგარიში, ხოლო 7 შეხვედრაში არ გაუშვეს არც ერთი გოლი.

● **თბილისის** „დინამომ“ დიდი ანგარიშით წააგო 4 მატჩი, ხოლო 2 მოიგო. ქუთაისის ტორპედოელებმა დიდი ანგარიშით ასევე 4 მატჩი წააგეს, თვითონ კი არ მოუგიათ არც ერთი ასეთი შეხვედრა.

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრი“ რიგით მეათე გუნდია, რომელმაც 1936 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა. ყველაზე მეტჯერ ჩემპიონობას ფლობდა „მოსკოვის“ „დინამო“—11, 10-10-ჯერ იყვნენ ჩემპიონები მოსკოვის „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“, 6-ჯერ—ცსკა, 3-ჯერ — მოსკოვის „ტორპედო“, 2-ჯერ — თბილისის „დინამო“ და თითოჯერ — ვოროშილოვგრადის „ზარია“, ერევნის „არარატი“, მინსკის „დინამო“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

● **ჩემპიონატის** ყველაზე შედეგიანი გუნდია „დნეპრი“, რომელმაც 34 მატჩში 63 ბურთი გაიტანა. მეორე ადგილზე არიან სპარტაკელები — 60. ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა „სპარტაკმა“ — 25.

● **ყველაზე** მეტი გამარჯვება მოიპოვა „დნეპრმა“ — 22, ყველაზე ნაკლები (3) — „ნისტრუმ“. ყველაზე მეტი წაგება აქვს „ნისტრუს“ — 27, ყველაზე ნაკლები — „დნეპრსა“ და „სპარტაკს“ — 7-7.

● **თბილისის** „დინამომ“ წლევანდელ ჩემპიონატში წააგო 16 თამაში. მსგავსი რამ ჩვენი გუნდის ისტორიაში არ მომხდარა. შეგახსენებთ, რომ ბოლო 4 წლის მანძილზე, როცა საკავშირო ჩემპიონატებში 18 გუნდი გამოდიოდა, თბილისის „დინამოს“ ასეთი მაჩვენებლები ჰქონდა: 1979 წელი — 3 წაგება, 1980 წელი — 11 წაგება, 1981 წელი — 8 წაგება, 1982 წელი — 9 წაგება.

● **სსრ კავშირის** 46-ე ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელმა ი. გავრილოვმა, რომელმაც სულ 18 ბურთი გაიტანა (6 — პენალტებით). მეორე ადგილზეა მინსკის დინამოელი ი. გურინოვიჩი — 17 ბურთი.

მოგვყავს ყველა გუნდის საუკეთესო ბომბარდირთა სია:

მ. სოკოლოვსკი („შახტიორი“) — 15
ხ. ოჰანესიანი („არარატი“) — 15
ვ. ფინკი („ჩერნომორეცი“) — 15
ა. იაკუბიკი („ფახთაქორი“)—15
ს. იაკუბაუსკასი („ჟალგირისი“) — 14
ო. ტარანი („დნეპრი“) — 13
ვ. კოლიადკო (ცსკა) — 13
რ. შენგელია („დინამო“ თბ.)—11
ვ. პეტრაკოვი („ტორპედო“ მ.) — 11
ვ. ევტუშენკო („დინამო“ კ.)—11
ი. პონომარიოვი („ნეფთჩი“)—11
ვ. გაზაევი („დინამო“ მ.) — 11
ი. გერასომოვი („ზენიტი“) — 9
მ. მეგრელაძე („ტორპედო“ ქ.) —7
ი. ტარასოვი („მეტალისტი“)—7
გ. ბატიჩი („ნისტრუ“) — 5

● **განვლილ** ჩემპიონატში მსაჯებმა დანიშნეს 87 პენალტი და ეს ციფრი სტაბილურია ბოლო 4 წლის მანძილზე. მასპინძელთა სასარგებლოდ დაინიშნა 63 პენალტი, სტუმრებისა — 24. ყველაზე მეტი 11-მეტრიანი დაინიშნა მოსკოვის „ტორპედოს“ (9), „სპარტაკის“ (8), „მეტალისტისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ (7-7) სასარგებლოდ. ყველაზე მეტი პენალტი დაარტყეს კიშინიოველთა კარში — 9.

● **ყველაზე** მეტი მაყურებელი მოვიდა მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ (80.000) და მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ (61.000) მატჩებზე.

ბრაზილიელთა მარცხი

ბრაზილიის ფეხბურთელთა ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე საყოველთაოდ ცნობილია. ამ ქვეყნის ნაკრების პრიორიტეტი უდავოა მსოფლიო პირველობებზე, მაგრამ სამხრეთ ამერიკის ტრადიციულ ჩემპიონატებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს ასეთი აშკარა უპირატესობა არა აქვთ, არგენტინის, ურუგვაისა და პარაგვაის გუნდებთან შეხვედრებში ისინი ხშირად მარცხდებიან ხოლმე.

ასე მოხდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაშიც, თუმცა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელობა წინასწარ ირწმუნებოდა, რომ ამჯერად მათ გუნდს წინ ვერავინ აღუდგებოდა.

ბრაზილიელთა ეს განცხადება უბრალო მკვეხარობა გამოდგა. ჯერ კიდევ ნახევარფინალურ შეხვედრებში პარაგვაიელებთან მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს (1:1, 0:0), ორი მატჩის შედეგად ქულათა რაოდენობაც, გატანილი და მიღებული ბურთების რიცხვიც მეტოქეებს ერთნაირი ჰქონდათ. როგორც ეს სამხრეთ ამერიკაშია წესად მიღებული, ფინალისტის საკითხი გადაწყვიტა წილისყრამ. ბედმა ბრაზილიელებს გაუღიმა და ფინალშიც ისინი გავიდნენ. იღბალი, თორემ გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის უფლება ასეთივე წარმატებით შეიძლება პარაგვაელებს მოეპოვებინათ.

ამრიგად, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის წოდებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ურუგვაი და ბრაზილია. სხვათა შორის, კონტინენტის ადრინდელ ჩემპიონატებში ეს გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ გამარჯვებას ურუგვაელებმა მიაღწიეს. ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობა და თვით ფეხბურთელებიც ამჯერად დიდ იმედებს ამყარებდნენ ფინალურ მატჩებზე, კერძოდ, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კ. პარეირამ განაცხადა, რომ ტრადიციებს ფეხბურთში, რასაკვირველია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბრაზილიის ნაკრები ახლა ისე ძლიერია, რომ წარსული წლების ყოველგვარი ტრადიციული გამოანგარიშებანი უკან იხევს გარდუვალი რეალობის წინაშე. ცენტრფორვარდმა რობერტომ კი დასძინა: ახლა სხვა დროა, ბრაზილიას უკვე სხვა ფეხბურთელები ჰყავს და არ შეიძლება ვინმეს ორი აზრი ჰქონდეს — გავიმარჯვებთ ჩვენ!

შედგა ფინალები და მთელი საფეხბურთო სამყარო დარწმუნდა, რომ ტრადიცია ჯერ კიდევ ტრადიციად რჩება და არც ბრაზილიის ნაკრებია ახლა ისეთი, რომ რევოლუცია მოახდინოს, ყოველ შემთხვევაში, სამხრეთ ამერიკაში.

ურუგვაელებმა თავიანთ მინდორზე ძალზე ძლიერად ითამაშეს. ისინი თითქმის მთელი ტაიმი უტევდნენ და 41-ე წუთზე ფრანჩესკოლიმ 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. მასპინძლებს არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ ინიციატივა, მატჩის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, როცა დიოგომ მეორედ აიღო მეტოქის კარი.

საპასუხო მატჩში, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა, 25-ე წუთზე დაწინაურდნენ მასპინძლები (ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა ჟორჟინიომ), მაგრამ უკვე ტაიმის დამთავრებამდე აკილერამ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

მეორე ტაიმში ბრაზილიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და 2 მატჩის ჯამში უდავო უპირატესობა „ტრადიციულ“ ურუგვაელებს დარჩათ, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა.

ფეხბურთის მოყვარულთათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ ფინალისტთა შემადგენლობას: **ურუგვაი** — როდრიგესი, დიოგო, გუტიერესი, ასევედო, გონზალესი, აგრესტა, ბარიოსი, ფრანჩესკოლი, კაბრერა, აკოსტა, აკილერა (პასიო); **ბრაზილია** — ლეაო, პაულო, რობერტო, მარსიო, მოზერი, ჟუნიორი, ჩინა, ჟორჟინიო, სოკრატესი, ედერი, რობერტო (კარეკა), კიტა (რენატო გაუჩო).

● ხელბურთი

„ბურევესტნიკის" კომპლექსში

პირველი ლიგის ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის პირველი დღის პირველივე მატჩში ტაშკენტის „ტექსტილშჩიკსა" და ბელგოროდის „ბურევესტნიკს" შორის საინტერესო სპორტული ბრძოლა ნახეს „ბურევესტნიკის" კომპლექსში მოსულმა მაყურებლებმა: გოლების სიუხვემ თავისებური რეზონანსი მისცა გუნდების სუსტ თამაშს დაცვაში. ტაშკენტელებმა დაცვით რიგებში მხოლოდ ერთით ნაკლები შეცდომა დაუშვეს და გამარჯვების სასწორიც მათკენ გადმოიხარა — 31:30 (15:16).

ტურის მეორე მატჩში სვერდლოვსკის „კალინინეცმა", რომელსაც სულ ათიოდე დღეა სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი ლ. ნევიადომსკი, გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვა კიშინიოვის „სჩოტმაშს", რაც ანგარიშშიც მკაფიოდ გამოისახა — 37:22 (19:9).

თბილისელ ხელბურთელთა პირველი მეტოქე კიევის „ავტომობილისტი" გახლდათ — ძლიერი, გამოცდილი გუნდი, ჩვენი ქალთა ხელბურთის ფლაგმანის — კიევის „სპარტაკის" საბაზო კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში ზევრი ტალანტი იბადება. მათ რიგებში დღესაც ვიხილეთ მსოფლიო ჩემპიონები გოგონათა შორის ნ. სალოვა და ტ. პოპოვა — ქვეყნის პირველი გუნდის უტყუარი კანდიდატები.

— ჩვენს გუნდში ამჟამად ახალგაზრდები, 1967-68 წლებში დაბადებული სპორტსმენები სჭარბობენ. ისინი ჩვენი ხელბურთის ხვალინდელი დღეა და მხოლოდ გამოცდილება თუ აკლიათ. ვიმედოვნებთ, რომ ისინი თავის დროზე ოსტატები დადგებიან — გვითხრა გუნდის მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ხელბურთელმა ლ. ვუნტესბერიმ.

ახალგაზრდა კიეველებმა მწვრთნელის სიტყვები საქმით დაამტკიცეს. მათ წინააღმდეგ თბილისელებმა მხოლოდ პირველ ოც წუთს იბრძოლეს თანაბრად — 2:2, 4:4, 6:6. მერე კი უკრაინელებმა ტემპს მოუმატეს და მათი შეჩერება ძნელი აღმოჩნდა. ანგარიშში სხვაობა მეთოდურად იზრდებოდა სტუმართა სასარგებლოდ. ამას დაემატა თბილისელთა უხეში შეცდომები მარტივ სათამაშო სიტუაციებში, გადაცემებში, არაზუსტი ტყორცნები კარში მოუმზადებელი მდგომარეობიდან, რაშიც ძალზე ხშირად სცოდავდნენ შუამარბები და... ტაიმი წაგებული იქნა 8:15.

სურათი მეორე ნახევარშიც არ შეცვლილა. კიეველთა გამუდმებულ იერიშებს თბილისელებმა ალღო ვერ აუღეს. გუნდს მოედანზე ვერც ვეტერანის ს. აკოფიანის გამოსვლამ უშველა. პირიქით, სიმწვავემ იმ ეპიზოდურ იერიშებშიც კი იკლო და საბოლოოდ გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მოედანი — 17:31.

ყოველი დიდი შეჯიბრების სტარტი ნებისმიერი გუნდისათვის თუ მოთამაშისათვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თავისებურ სიძნელეს წარმოადგენს, მით უმეტეს თუ იგი „საკუთარ კედლებში" ტარდება და როდესაც შენს წინააღმდეგ აღიარებული კოლექტივი თამაშობს. ასე მოხდა ამჯერადაც. თბილისელმა გოგონებმა ვერ გამოავლინეს შესაძლებლობის მაქსიმუმი, მიუხედავად იმისა, რომ ეპიზოდურად აჩვენეს ის თამაში, რასაც მათგან მოელიან.

გუშინ გაიმართა მეორე ტურის მატჩები: „სჩოტმაში" — „ბურევესტნიკი" (ბ.) — 18:36 (6:19), „ავტომობილისტი" — „კალინინეცი" — 22:11 (9:5) და „ბურევესტნიკი" (თბ) — „ტექსტილშჩიკი"— 27:35 (9:15).

დღეს მორიგი ტურია, ერთმანეთს ხვდებიან:

14.00 ს. „ბურევესტნიკი" (ბ) — „ავტომობილისტი"

15.30 ს. „ტექსტილშჩიკი" — „სჩოტმაში"

17.00 ს. „კალინინეცი" — „ბურევესტნიკი" (თბ).

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: „ავტომობილისტისა" და თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრის მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„თორი" (ბორჯომი) — „სამგორი" (გარდაბანი) 2:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: კაპანაძე, მაკიევი.

„ივერია" (ხაშური) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ოსაძე, ლომსაძე („ივერია"), ეჯიბოვი, გოგოლაძე („ჰერეთი").

„მადნეული" (ბოლნისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 4:4. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

„ავტომობილისტი" (თბილისი) — „თორი" (ბორჯომი) 2:3. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ქარაული, ციბუტაშვილი („ლოკომოტივი"), მიგინეიშვილი, ბერაძე, ჯიშიაშვილი („სპარტაკი").

„ქართლი" (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ი. ბარბაქაძე (მცხეთა).

გოლები: ხანიშვილი — 2, ფილიშვილი, ტაბატაძე.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 5:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

გოლები: ბოლქვაძე—3, სკრობა—2 („მეტალურგი"), ტურაშვილი („ალაზანი").

„კახეთი" (თელავი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).

ბურთი გაიტანა ჯაშიაშვილმა.

„შევარდენი" (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).

გოლები: ქობელაშვილი—2, ბანცური, ჯოჯუა.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

დასავლეთი ზონა

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (წულუკიძე) 3:2. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

„შუქურა" (ქობულეთი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ჯიქია, ფიფია, ანთია („დინამო"), ღონღაძე („შუქურა")

„კოლხეთი" (ხობი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 4:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: ქომეთიანი—3, გვიჩიანი („კოლხეთი"), ავსაჯანიშვილი, ფაიქიძე („საირმე").

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სქური" (წალენჯიხა) 2:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).

გოლები: ქავთარაძე, ცომაკურიძე („სამეგრელო"), კვირტია, ზარქუა („სქური").

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

„სულორი" (ვანი) — „მზიური" (გალი) 9:2. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

გოლები: სულაბერიძე —5, ანდღულაძე, ნედარიძე, ვერულაშვილი, ბრეგვაძე („სულორი"), კვეკვესკირი—2 („მზიური").

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:2. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (გურჯაანი).

გოლები: კაშია—2, კიკნაველიძე („მეტალურგი"), ქვირია, კერესელიძე („სამგურალი").

„ეგრისი" (ცხაკაია) — „მალაროელი" (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ზ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 5:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

გოლები: ფარულავა—2, მხატვარი—2, უკლება („საპოვნელა"), შამათავა („ამირანი").

„სქური" (წალენჯიხა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:3. საჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

სურათზე: საქართველოს ჩემპიონატის მატჩი რუსთავში ადგილობრივ „მეტალურგსა" და გურჯაანის „ალაზანს" შორის.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ."	33	20	8	5	77-30	48
„კახეთი"	33	20	6	7	51-24	46
„ჰერეთი"	33	17	11	5	56-35	45
„შევარ."	33	16	10	7	53-27	42
„ავტომ."	33	15	10	8	54-34	40
„ივერია"	33	14	8	11	53-46	36
„თორი"	34	13	10	11	51-51	36
„დურუჯი"	33	13	9	11	78-60	35
„არმაზი"	33	13	8	12	49-50	34
„სპარ." ცხ.	33	15	3	15	76-66	33
„მადნ."	34	12	8	14	64-57	32
„სპარ." თბ.	34	11	9	14	68-60	31
„სამგორი"	34	9	13	12	45-43	31
პოლ. ინს.	34	6	18	10	39-54	30
ფიზ. ინს.	33	9	8	16	41-58	26
„ალაზანი"	33	10	5	18	54-74	25
„ქართლი"	33	8	9	16	48-85	25
„ლოკომ."	34	2	1	31	26-129	5

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი"	35	20	7	8	73-45	47
„საპოვნ."	36	19	9	8	74-41	47
„დინ." ზ.	35	20	6	9	70-49	46
„სამგურ"	35	19	8	8	66-33	46
„მზიური"	35	19	5	11	61-48	43
„სამეგრ."	35	14	6	15	66-51	34
„დინ." გ.	35	13	7	15	56-67	33
„ამირანი"	35	13	7	15	58-75	33
„ეგრისი"	36	12	9	15	54-58	33
„სალხინო"	35	11	11	13	51-63	33
„სქური"	36	13	7	16	53-68	32
„ბახმარო"	35	12	8	15	36-48	32
„მეტალ."	35	11	10	14	63-56	32
„იმერეთი"	35	11	10	14	61-63	32
„კოლხეთი"	35	10	12	13	58-68	32
„მალარ."	35	12	7	16	58-56	31
„საირმე"	35	12	5	18	47-58	29
„ენგური"	35	12	5	18	35-65	29
„შუქურა"	35	7	9	19	51-79	23

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„იბერია" (ქარელი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ვარძია" (ასპინძა) 2:1. „ვარძია" (ასპინძა) — „აბული" (ახალქალაქი) 5:4, „თრიალეთი" (წალკა) — „ალგეთი" (მარნეული) 2:3, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „იბერია" (ქარელი) 1:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „მშენებელი" (ჭიათურა) 1:2, „იმედი" (რუსთავი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:1, „არაგვი" (ჟინვალი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:0.

დასავლეთი ზონა

„ავიატორი" (სოხუმი) — „შახტიორი" (ტყვარჩელი) 3:3, „იმერეთი" (ქუთაისი) — „თოლია" (ბათუმი) 2:0, „ოდიში" (ზედა ეწერი) — „კოლხიდმშენი" (ფოთი) 2:3, „სენაკი" (ცხაკაია) — „კოლმეურნე" (დვაბზუ) 2:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „გიგანტი" (ლაითური) 1:2, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 10:0. ცაგერის „ხვამლს" გამარჯვება ჩაეთვალა გუდაუთის „ბზიფთან".

ზონალური პირველობა

„კოლმეურნე" (კახათი) — „ნარინჯი" (გონიო) 1:2, „ნარინჯი" (ნატანები) — „მეავეჯე" (ქუთაისი) 2:2, „იორი" (თიანეთი) — „მეშაქრე" (აგარა) 3:0. გონიოს „ნარინჯს" გამარჯვება ჩაეთვალა კახათის „კოლმეურნესთან", ორპირის „კოლმეურნეს" — კახათის „კოლმეურნესთან", წნორის „ქიზიყს" — ჯავის „კოლმეურნესთან".

11-მეტრიანი
უდისციპლინოთა კარში

საჩხერის „ჩიხურას" ფეხბურთელმა ა. პეტრიაშვილმა ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი გააძევეს მინდვრიდან. ა. პეტრიაშვილის თანაგუნდელი ბ. ქელბახიანი წლეულს მეორედ გააფრთხილეს. გააფრთხილეს, აგრეთვე, ამავე გუნდის წევრი ნ. გოგოლაძე. უღირს ფეხბურთელთა ეს საქციელი საჩხერის სპორტკომიტეტის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თ. ლაშხი).

უდიერი საქციელისთვის გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს გალის „მზიურის" ფეხბურთელი თ. ქარდავა (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგუა).

წლევანდელ სეზონში მეორედ გააფრთხილეს ჩხოროწყუს „სამეგრელოს" ფეხბურთელი ე. ცომაკურიძე (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. ესართია).

გააფრთხილეს მ. ხუნდაძე (მაიაკოვსკის „საირმე", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ე. ფერაძე), შ. ბერიძე (თბილისის „ლოკომოტივი", სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე თ. ქობულაძე).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

წიგნის თარო

სასარგებლო გამოცემა

ვ.ა. მასლიაკოვი,
ა.ფ. პროცენკო
მშთ კომპლექსი
IV საფეხური - ფიზიკური სრულყოფა

კიდევ ერთი სასარგებლო სახელმძღვანელოთი შეივსო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა წიგნის თარო. ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა დოც. ვ. მასლიაკოვისა და ვ. პროცენკოს სახელმძღვანელო „მშთ კომპლექსი: IV საფეხური — ფიზიკური სრულყოფა", რომლის თარგმანი შესრულებულია საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის შ. სუხიშვილის მიერ.

აღნიშნული წიგნი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო სამინისტროს მიერ რეკომენდებულია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს მათ ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და მშთ ნიშნოსნების მომზადების ხარისხის ამაღლებაში.

წიგნში დაბეჭდილია მშთ კომპლექსის IV საფეხურის მოთხოვნები და ნორმატივები — პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის, საექიმო კონტროლის, თვითმასაჟის, სამოქალაქო თავდაცვის განაყოფები, მასში მოცემულია მშთ კომპლექსის IV საფეხურში (ვაჟები 19-39, ქალები 19-34 წ. წ.) შემავალი სპორტის სახეობათა მიხედვით სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარების მეთოდური საკითხები და შესაბამისი სასწავლო ილუსტრაციები.

წიგნის თარგმანი კარგადაა შესრულებული, მთარგმნელი მადლობას იმსახურებს, მით უმეტეს, რომ ფიზკულტურასა და სპორტში ქართულ ენაზე ამგვარი სახის ლიტერატურა ნაკლებად გაგვაჩნია.

აღნიშნული სახელმძღვანელო, ვფიქრობთ, დიდად დაეხმარება არა მარტო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მუშაკებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას, არამედ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგის ყველა მუშაკსა და ფიზკულტურელს, რომლებიც თავიანთი ასაკის მიხედვით აბარებენ მშთ კომპლექსის IV საფეხურის მოთხოვნებსა და ნორმატივებს. ამასთანავე იგი ინტერესმოკლებული არ იქნება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სხვა მოყვარულთათვისაც, რადგან მასში გაშუქებულია ბევრი საინტერესო და საყურადღებო საკითხები.

ჯ. ბაგრატიონი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

სპორტლოტო

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 46-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 10 (წყალბურთი), 24 (ხელბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 37 (საავტომობილო სპორტი), 43 (რიკაობა), 44 (მოტოსპორტი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 27 (მშვილდოსნობა), 28 (ტყვიის სროლა).

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07919